


წელიწადი  
პირველი

28 აპრილს  
1877 წ.



საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, ჟივერისა რედაქციაში, მოსწმინდის ქუჩაზე, შიოკვის სასაღების ზემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ჟივერისა“ ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, ეკუთვნით და ეკუთვნის... 6 მან. —

თითო ნომერი . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შე-  
მოკლებს დასაბუჯლოთ გამოცხადებულ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

საძიებელი: I. ოსმალოს საქართველო. — II. საქართველოს მატანიე. — III. თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსნი. — IV. ოძის ამბები. — V. საზოლიტიკო მიმოხილვა. — VI. რა მიზეზია სერბიის დამარცხებისა? — VII. ჩვენის ისტორიის მასალა. — VIII. გლეხის ნაამბობი, სტენა 3 და 4, თ. რ. ერისთავისა. — IX განცხადება.

ოსმალოს საქართველო

ყოველი ერთი თვისის ისტორიით სულდგმულაბს. იგია საგანსე, საცა ერთი ზოულაბს თვისის სულის დონეს, თვისის გულის ბეგრას, თვისი ზნეობითს და გონებითს აღმტეულებას, თვისი ვინაობას, თვისი თვითუზას. ჩვენის თვითით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა საწმუნებებისა და გვარტომობისა ისე არ შემსწავლებს სოღმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერთი ერთის ღვაწლის დამდები, ერთის ისტორიულს უღელში ბეული, ერთად მეზობლი, ერთსა და იმავე ტირასს და ღსინში გამოტარებული ერთსულაობით, ერთგულაობით ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერთი განუეოს, დაერღვიოს, მაგრამ მანინ რღვეულთა შორის იღუმალი შემსწავლულება, იღუმალი მიმსიღველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია სოღმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭყქოს დამინებულმა ისტორიამ და ერთსულაობამ, ერთგულაობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენსა და ოსმალოთის საქართველო.

„ჟივერისა“ წარსულ ნომერში მოხსენებულს ნაწილებს ოსმალოს საქართველოისას დიდი პატივ-საცემი და სასჯლოკანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხვია ჩვენთან ერთად საქართვე-

ლოს ერის თვით-არსებობისათვის. გარდა იმისა რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიატა გვქონია. ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალო ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყნას ქტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალოს სულმა, მედგრად იბრძოდა ჩვენის საწმუნებობის, განათლების, ერთ მოაზრობის დადგინებისათვის და მათდა და ჩვენთა სასახლოდ ძლიერთა მისიღ იქმნა.

საკვირველს მედიდურს სახასიაობას წარმოვიდგენს იგი საქართველოს ისტორიაში. როდესაც საქართველო დაუფთღ იყო წვილად სამთავრობათ და ერთი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე ჯერ ბიზანტიისა და მერმე ოსმალოს ზედ მოქმედების ქვეშ, ზემო-ქართლი, რომელსაც ესლა ოსმალოს საქართველოს გუწოდებოთ, ხან ერთს ნაწილს მიემსროდა, ხან მეორეს და თვისის მომსწრობით განაძლიერებდა ქართველებს თვით-არსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტომას ვჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა.

ზირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოივიდა ფასი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ ვიდევ კერპო-მსახურება სუფევდა. ქრისტეს აქედ ზირველს საუგუნეში ადერკი მიუვს (60 წ.) უნდოდა კერპო-თაყვანების საწმუნებება მოვიგინა და ამისათვის საშინელი ბრძოლა აუტანს სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა ანამც თუ მოისპო, ზირ იქით უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისე წმინდა ნინოს მოხელად.

როდესაც ბიზანტიის და სპარსეთის შუა ასტედა შეხანიშნავი ბრძოლა „დაზიგის“ თაობაზედ, მაშინ ესდენდელი ოსმალოს საქართველო დიდ საისტორიო ანაბრე-

ზათ შეიქმნა მათა შორის. სპარსეთი ძველად იქმნა და იგი ნაწილი საქართველოსა დაჩხა ბიზანტიის უფლებების ქვეშ. შემდეგ ქართლ-კახეთთან შეერთების სურვილმა აღმოჩინა თავი, მაგრამ ბიზანტიამ დაუშალა და მისცა მხოლოდ უფლება ქართველი კათალიკოსი იყოლიონ, რათა დასსდებოდნენ კათალიკოსად ნათესავნი ქართველნი და არა ბერძენნი და აქედან უაღრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელთ-მთავართა ზედა.“ ეს მოხდა 586 წ. ქრისტ. შობ. ამ გვარად მთელის საქართველოს ერთობის წადილს ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა სულიერად მანინ, თუ არ სორციულად. მეექვსე საუკუნის დასასრულს კლარჯეთის და კავკასიის მთავარი გუბრ-გურბატ-შალატი, ბაგრატიონის გვარის კაცი, ბიზანტიის შემწეობით შეიქმნა მეფეთ ქართლ-კახეთისა და ამ გვარად დიდი ნაწილი საქართველოსი შეერთდა საქართველოსეუ კლანდელის ოსმალის საქართველოს შემწეობითა. თუმცა ამის შემდეგ ისეკ დაირღვა საქართველო ნაწილებად, მაგრამ არდანიუის ბაგრატიონთა გვარი განმდიერდა და ამას მოჰყვა მთელის საქართველოსათვის ნაყოფიერი და საკეთილად შედეგი.

როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მჭამდიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, კლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისათვის იღვწოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლმელობითა. ესეც დაჩხინილა მრავალი დიდ-მშენებელი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატრობით შემუშავი ეკლესიები, იმ დროს აღშენებული. იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდიოდნენ საბერძნეთს სწავლას მისაღებად, ნასწავლნი მოდიოდნენ უკანვე და ჭებენდნენ სწავლას საქართველოს ხალხთა შორის, იმ დროს, როდესაც ტფილისსა და გარემო ადგილებში არაბები მჭამდიანობის გავრცელებას მტრადიხებდნენ თავის არაბულის წიგნების შეშავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი სამღთო და საერო წიგნებს ქრისტიანობისაჲს ქსთარგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აწესებდნენ მონასტრებსა; რომლებშიაც უმაწვილებისათვის სასწავლებლო მართავდნენ.

უწარსინებულენი მამანი, სამღთო საერო თხზულებათა მთარგმნელნი, სასულიერონი მწერალნი ჩვენნი კლანდელის ოსმალის საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იუნენ. ჩვენი სასიქადულე ჯგუფისკის ტუარსანის, მთაველი შოთა რუსთველი იმ მხრის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თვის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღუვაკებულია, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჭქეფინია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმატავს თვისი სახელ-

გათმული დროშა. თითქმის იგია ჩვენის სულის აღმტებულების აკვანი და იგივეა სამარტე ჩვენის ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქილამ ეფინებდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს.

ბოლოს ბაგრატიონთა გვარის კაცი მეფე ბაგრატ III განმდიერდა იმოდენად, რომ 1014 წ. შეკრთა სრულიად საქართველო და ჩვენი ქვეყნა შეიქმნა ძლიერ და სასულიერო. ესლანდელმა ოსმალის საქართველოდ ამ შეერთებისათვის დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანასა, დიდი სისხლი დაანთხია, დიდი ქველობა გასწია.

თამარ მეფის შემდეგ, ესე იგი, მას ყამს, როდესაც ჩვენის ქვეყნის ერთობა დაირღვა, ესლანდელს ოსმალეთის საქართველოში მიღობულობდა სამცხის ათაბაგი, რომელიც ახალციხეში მკვიდრობდა და იგი ადგილი წოდებულ იყო სამცხე-საათაბაგოთ. ბიზანტიის იმპერიის დაზერობის შემდეგ ოსმალებმა მრავალი ჭირი მიამყენს სამცხე-საათაბაგოსა, რომლის დაზერობასაც ძლიერ ეტანებოდნენ,—და ამისათვის ქრისტიანობის აღმოფხვრუნდოდათ. მაგრამ 1625 წლამდე სამცხე საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეზერათ ქრისტიანობა და ყოველთვის თავგაწირულობით, თავდადებით ებრძოდნენ ოსმალთასე. რომ ოსმალებმა ვერა დააკეს რა ვერც საწმუნობასა, ვერც ქართველობის გვარტომობასა, თუმცა მრავალი მსხვერპლი კი შეაწირვინეს. 1625 წ. ბექამ ოწმალთა თვისი მძის წული, უყანასენელი ათაბაგი მანუხარ, გადუღვა ქრისტიანობას, ქართველობას, მიიღო ორ თულიანი ფაშობა ოსმალეთისაგან სამცხე-საათაბაგოში და სახელად დაირქვა საფარ-ფაშა. ამის გამო ბეჭნი თავად აზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დაჩხინილთა მიაღებინეს მჭამდიანობა ზოგს ძლდაცანებით, ზოგს მოტუეებით და მცდურებათა; სამღვდელნი და კონსეკრაციონი მისწვებტეს, საუდრები დასარტვეს და ყოველი სამღთო-საერო წიგნები ტეტსცლს მიჭსცეს. ჩვენი მოძე ქრისტიანი ხალხი დაჩხა უწინამძღვროდ, უმომღვროდ, უეკვლისოდ და სასო წარყვთილი, მწარედ დაჩაგრული, უწელოდ დეუნული და განადგურებული ნელ-ნელად მიეცა მჭამდიანობასა.

დღესაც იცინ იქაურმა ქართველებმა რომ ზოგის დედა, მამა, შაშა ჯერ კიდევ მათს სსოვნაში ქრისტიანები ყოფილან. ამობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იღუმაღად აღიარებს ქრისტიანობასა, რომ დღესაც ათის თუ თორმეტის წლის უმაწვილები საჩვენოში გადმოტყუათო მოსანათლავათ, ზოგი ჩვენებურათ ჯვარსაც იწერს ოსმალეების იღუმაღად თურძე.

ეგრედ, — მძლავრობამ, მუსთლობამ, ღალატმა, შავით მოხილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები, ერთად სისხლის მღვრელები, ერთად ღვაწლის დაძვლები, ერთად ტანჯულები და ერთად მოღონებენი. დიდმა ღვაწლმა ბავრტ მქსამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ-დედოფლისამ უჭმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისგან დევნულს, ერთობისათვის და ქრისტიანობისათვის სისხლდანთხულებს საქართველოს. სარწმუნოების სხვა და სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარ-ცემულმა იცის ჰატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვილიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სამეხნის, ებრაელნი, თვით მაჭმადიანნიც ჩვენ შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წავკავებდებენ. სხვა ქვეყნებში სარწმუნოებისათვის დევნულნი და ჩაგრულნი აქ ჩვენში ჰყოფილბდნენ მშვიდობის მყოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებასა.

არ გვაშინებს, მეტი, ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალებს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჭმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოდნოდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმობთ და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერისს ადამიანის სინიდისს და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის ჰატიოხანს და ღმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს, თვალში სინარულის ცრემლ-მოკრული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სინარულის ცრემლის უწინააღმდეგე ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუ თუ ქართველი უკუ-დრეკება და თავს არ შესწირავს ძმას, წინათვისაც ორიათასი წელიწადი თავი უწინავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა....

საქართველოს მატრიანე

— დუშეთის მარჯა, როგორც მოგვსენებთ, განზიდულია მცხეთიდან, მთებს იქით, ღალატმა თითქმის ასს სამოც კურსტის სიგრძეზედ, და მთელს ამ სიგრძეზედ მოღონის დიდი სასუღმწიფო გზა, რომელიც ერთად ერთი ხმელეთის გზაა რუსეთისა და ამიერ კავკასიის შორის. ამისგამოდუშეთის მარჯის ხალხი დიდ-ძალს ურმის ბეგრას ეწევა ხოლმე ყოველ წლივ ჯარებისა, ტუსადებისა და სხვა და სხვა კამანდების გადაყვან-გადმოყვანაში. ეგ ბეგრას ჩვეულებრივ დროსაც მეტად უმწიფდება ამ მარჯის ხალხსა და აბა წარმოიდგინეთ რამოდენად სამიმოდ იქნებოდა ეგ წოდება ომის სმარად შარშან, 8-ს ნოემბრიდან, ამოდენა

ჯარი დაიძრა რუსეთიდან ამიერ კავკასიაში მოსასულელებად. შარშან რვას ნოემბრიდან წელს თებერვლის დამდეგამდე, თითქმის სამოცდა ათი ათასი ჯარი გადამოვიდა. ამბობენ, დღეში ორასი ურემი გამოდიოდა. დღესაც ჯარის მოდენა არ შეწყვეტილა და ამის გამო დღესაც ამ მარჯის ხალხი ბეგრასს. თუძვა ეს ასეა, მაგრამ ადგილობრივ ინჟინერებს მოუწადინათ, რომ ამ ხალხსა კიდევ სხვა ბეგრაც გააწვიონ.

საქმე იმაშია, რომ მთებზედ ზამთარში თოვლის გამო გზა შეიკვრის ხოლმე. უწინ გზის საკეთებლად დუშეთის მარჯში ბატალიონი იდგა. ბოლოს მთავრობამ უკეთესად ჰსცნა გზის კეთება ნარდად მიეცა გერმანიის ბირთათვის და ბატალიონი მოშალა. ამის გამო მთების ჩრდილოდ მხარე ნარდად მიეცა, ამბობენ ლეიპციხს, რომელსაც უაზიბეგის სადგომის (სტანცია) სასტუმრო აქვს ადგილი და სამხრეთი მხარე დუშეთის მცხოვრებს არტემს ჰკათაროვსა, რომელიც გუდაურში ვაჭრობს. წერილით შეკრულობის ძალითა ლეიპციხს უნდა ჰქვანდეს ყოველ დღე 150 თვეობით დაჭერილი მუშა და ჰკათაროვს 100, იმ პირობით რომ თუ გზა შეიკვრის თოვლისგან ამას იმოდენა მუშა უნდა წარმოადგინონ, რამოდენასაც ადგილობრივი ინჟინერი მოითხოვს. წელს მთებზედ ისეთი დიდ-ძალი თოვლი მოვიდა და გზა ისე შეიკრა, რომ მის გასსნა მეტად გაძნელდა. ამასთანაც მარტის პირველს რიცხვებში ჩრდილოდ მხარის მუშის დაუკრამ ფესი და გაქცეულა. ამბობენ გაქცევის მიზეზი ის ყოფილა, რომ წოგისათვის დაპირებული სასუიდელი არ უძლევათ, გად ვერ გიმუშავნათ და ამის გამო სამუშაო თუელი სრულად არ უძლევათ.

გზის გამოკათ იმის მაგიერ რომ შეკრულობის ძალით ნარდად ამდებთათვის მოეთხოვნათ მუშა, ახუდათ და მოუთხოვნიათ მარჯის უფროსისგან, რომელსაც ძლივ-ძლივობით ქსნის სეობდან მოურელებნია ორასი კაცი და გაუგზავნია. ეს ყოფილა მარტში. 8-ს აპრილს სელასლად მოსულია ქალაქი მარჯის უფროსსა, ის ორასი კაცი დაუითხოვეთ, რადგანაც ჰური შემოგავლდა და ახლა სხვა ორასი კაცი მოგვაშეველოთ, თვეში ხუთმეტ მანეთს მივცემით, სამს გირკვანქა ჰურსა და თბილს სადგომსა.

ერთი ეს უნდა ვიკითხოთ: საცა ნარდად ამდებნი არიან, რომელთაც, რასაკვირველია, თავისი ეძლევათ, იქ რატომ ამ მონარდათა არ ატანენ ძალს, რომ მუშა მოიყვანონ? აქ ხალხი, უმისოდაც დიდის ბეგრის მწველი, რა შუაშია? რად ჰსწერენ მარჯის უფროსს ხალხი მოკვასელო, მაშინ რომელსაც მონარდადებმა თვით უნდა

იყოლიონ მუშა? ევ რა არის, თუ არ ბეგარა? თუ მტრ თვეში სუთმეტს მანეთს იუფს უნიშვნენ, მაგრამ ამ დროში არც ერთი გლეხი არ წავა მთებში სამუშაოდ მაგ ფასად, თუ იმის ნებაზედ იქნება მივლილებული. რად სურთ გზის გამკეთა სწული ხალხის ძლად გამორეკა, რაღა მონადრენი ხელთა ჭეკანს? ეს წინად ფასის გადაკეთა რად არის იმისთანა დროს, რაღა დუშეთის მანძის ხალხს არც მოცალეება აქვს სახელმწიფო ბეგარისაგან და ამისთანა სიძვირეც არის,—თუ არ იგივე ბეგარა? თუ ბეგარა არ არის, რატომ თავისუფლად არ ურიგდებიან გლეხსა ფასზედ? ამ გაჭირებულს დროს მეტე დუშეთის მანძის ვატი, რომელიც დღე მუდამ ჯარების გადმოყვანის ბეგარის ჭაზან-წვეტაშია, განა წავა მთებში სამუშაოდ დღეში ათ შაურად, თუ ძალდატანება არ იქნება? რად ჭსურთ გზის გამკეთა რომ უიმისთანა გაჭირებულთ გლეხთ ღუემას უტეხენ? მაღლია რომ ამ უსამართლობას ჯეროვანი უწინადადება მიაქციონ და მონადრეთა მოვალეობა ვისრად არ დაჭიდონ ხალხსა.

— ათონის მთაზედ \*) მკლადგანვე ქართველების ღვაწლით დიდი მონასტერია აშენებული და მრავალი საგანნი. 1861 წლამდე ამ მონასტერში ქართველები უფილან, და იგი ხელთა ჭსტერით. ამ წლის შემდეგ მონასტერი, მდიდარის ბიბლიოთეკისა და სხვა ძვირფასის ნივთისა მქონე, დაუშურით ბერძენების ბერებსა და ესლა ქართველებს იქ აღარ უშვებენ თურმე, თუ მტრ ქართველი ბერები დღესაც ათონის მთაზედ რაღა რთხამდე არიან. ქართველს ბერებს უღვაწიათ, მოუგრეკებიან თუელი და ხელ ახლად უფილანთ ბერძენებისაგან უწინდელის ქართველთა მონასტრის ადგილი და მასზედ ახალი მონასტერი და საგანნი დაუდგამთ, მაგრამ აქაც ბერძენის ბერები თავისუფალის გამკეთების ნებას არ აძლევენ თურმე, ასე რომ კველსისის გუმბათის ამოყვანის ნებაც არ მიუციათ. ჩვენს ბერებს უთხოვნიან რუსეთის დესპანისათვის რსმალეთში, რომ გუთონილი მათდამი მკელი მონასტერი ამით დაუბრუნოს. დესპანს ღენერალ იგნატიევს უჩვენებია, რომ კავკასიის მთავრობასა ჭსთხოვონ ამაში შემწეობა. ამ უამად აქ საქართველოში იმყოფება მამა ბენედიკტე ბერი ამ შემწეობის სათხოვნელად. ჩვენ შევიტეთ, რომ ათონის მთის ქართველთ ბერებს წერილები გამოუგზავნიანთ ზოგიერთ ქართველთათვის და უთხოვნიანთ შუამდგომლობა მთავრობის წინაშე.

გალად ჭსდევს უოკელს ქართველს, ვისაც ვი რაიმე გავლენა აქვს, თავი გამოიდოს რომ ქართველებსვე დაგვიბრუნდეს იგი მონასტერი, ჩვენის მამა შაპის ღვაწლით ნაშენი და გაბრწყინებული, ჩვენის წარსულის ცხოვრე-

\*) ათონის მთა რსმალეთს სახელმწიფოს უჭირავს.

ბის მრავალ-გვარად მომკონებელი, ჩვენთა უწინდელთა სახელგანთქმულთა მეტნიერთა სავანე. იმ მონასტერში ბეგრი დიდებული სახსოვარია ჩვენის გარეულის ცხოვრე-ბისა, ბეგრი იმისთანა ნაშთია, რომლის მეორებითაც ქართველობა სასიქადულოა ქართველთათვის. ნუ დაგვარგავთ მაგ სულიერს და ხორციელს განძსა მკელის ქართველობისას.

— ფინანსთა სამინისტროს დირექტორმა ტელეგრაფით აცნობა ტფილისის საადგილ-მამულე ბანკის მმართველობას, რომ ამას წინად წარდგენილი ცვლილებანი წესდებისა, მინისტრს დაუბრუნებია და მხოლოდ 67 მუსლი დაუგდია შეუცვლელად.

— კალიის გასწვეტად შესწავრის თაობაზედ, რომელიც „ივერიის“ 8 სოჭერში იყო მოხსენებული, ჩვენის ბანკის ზედამხედველმა კამიტეტმა გადაჭსწვეტა, რომ საზოგადო გრების დაუეთხავათ ბანკის წესდებას ნებას არ აძლევს ზედამხედველს კამიტეტს კმ შესწავრავი დანიშნოსა.

— ტფილისის შემოსავალ-გასავალის სქემა, რომელიც ჩვენ „ივერიის“ მექანე ნომერში მოვიყვანეთ, წარდგენილი იყო ქალაქის გამკეთების წინაშე და ბასის და გარეულის შემდეგ ამ სქემაში რამდენიმე ცვლილება მოახდინეს. ესლა ქალაქის შემოსავალი შეადგენს სულ, 414,085 მანეთს; გასავალი კი 444,548, ასე რომ წრეულ ქალაქს მოკლის 30,463 მანეთი შემოსავალს გადამეტებული ხარჯი.

— ქუთაისიდან გვწერენ: „არ გავიგონიათ, რომ კაცი მომზადებულა სამგზავროდ, შეუკრავს თავისი ბარგი, ასე აღტაცებით მიჩქარებულა იქითკენ, საითკენაც მისი საქმე ან გარემოება იწვევს, მაგრამ რომ მიასლოგებულა რკინის გზას ანუ გემსა, მაშინ, დაურეკიათ მესამე ჯერ შარი და გემს თუ რთქელ-მავალს გაუწვიათ თავისათის და მგზავრი საღტად დაჩენილა.

სწორედ ამ მგზავრის მდგომარეობაში ჩავდგი იმ დროს, როდესაც წავიკითხე „ივერიის“ 6-სე №-ში რედაქციის მწერე შასუსები. მეტ ერთი მათგანი განსვავარ, რომელთაც თქვენ უშასუსეთ, სახელდობრ „მოგლუჯილადი“. — ჩემდამი მომართულის შასუსის გამე ერთი დიდი ჭიჭიცი წული გადაუღუჭე. მეტი რა გამეწეობდა?!

მე სრულად თანხმად გასვავარ რედაქციისა, რომელიც ამბობს: „თუ ადამიანს ჭვირსავთ მისი საბუთი საქმე და სამომედარი გაუწვეთო, სხვა გვარი განვიცხვა, ჩვენის თქმით, ღანძღვანა“. ვარგი და შატიოსანი. სწორედ სასარგებლო გაზეთი ის არის, რომელიც უსაბუთოდ არავის ეხება და არც სწებს. — ჩემი შირველი წერილიდამ მოისმენდით ჩემს მტრე შეხედულებას გაზეთზე. მეტ მოგასხენებთ: უსაბუთოდ ღანძრავი და წერს

არ აჩინს სჯაღრისი და არც სსსარგებლო, როგორც გა-  
სუთისათვის ისრე საზოგადოებისათვის.—მე მხოლოდ  
სასიათები ვესწრე ზოგიერთის გემისა, (და არაინ-ვი და-  
მისასვლელა), რომელიც ვითამ ქვეყნის მსრუნველნი  
აჩინს, და თუ ვინმე იცნობდა თავის თავს და ხმას ამო-  
იღებდა, მაშინ საბუთებიც გამჩნდებოდა.—ხემის ფიქ-  
რით საზოგადოება ამგვარის აღწერით თითონ გამო-  
ძებნის, იცნობს და დააფასებს მას, ვინც საცნობია. მაგ-  
რამ რედაქციამ უკედ იცის თავის გასუთის მიმართულე-  
ბა და ამისათვის იქნება ძალიან გარკვეულ მოხდა რომ და-  
ვიწყებს მიეცით ხემი შირველი ნაღველიანი წყრილი.

იქნება ეს წყრილიც არ აჩინს საჭირო „იეკრისა-  
თვის“, მაგრამ თქვენსა შესუსებმა ალაპარაკეს ბევრნი  
ისედა ნაირად რომ, ხემის ფიქრით, არ იქნება უადგი-  
ლო პატარა ადგილს მისცემდეთ ამ ხემს პატარა  
წყრილს.—საზოგადოდ ხვენში გახდენ ზოგი ისეთი  
ძიოთსეკლები, რომ მათს ტენის არ ძალუმს გაიგოს ხმ-  
დვილი შინაარსი რომელიმე წყრილისა და ზოგი იმის-  
თანანი, რომ გარკვეულ ესმით რაცა ჭსწრია, მაგრამ გა-  
ნანად მიუღია წუნის დაღება. თქვენც მისგდებით რა ჯუ-  
რის გაცნიც აჩინს ეს უკანასკნელნი. ამ ტენისა და ხე-  
ობის მქონნი გამოდინს მოედანსედა, ან იწებენ სია-  
რულს იმისთანა ოჯახებში, სადაც იშვიათად კითხულა-  
ბენ ხვენებურ გასუთებსა, იწუნებენ, ჭკიცებენ წყრილებსა,  
აგინებენ დამწყესა, და აჩინს ვითამ ერთ დიდ ამბავში.

თუ მოგისდათ რადისმე მისვლა ამისთანა ოჯახ-  
შია, დაგიწყებენ კამათობას გასუთის რომელიმე წყრილ-  
ზედა ტყუილ-კრიტიკისების სიტყვითა. რომ ჭკითხეთ:  
თქვენ წაგიკითხავთ წყრილი, რომელსაც ჭსწრებთ.

— არა, გიპასუხებთ.

— მაშ კვრე როგორ ჯამანაკობთ მასზედა, რაც  
თვით არ წაგიკითხავთ.

— იმათ ისე მითხრეს და ასე კლამანაკობ.

**თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსნი.**

**I**

ჰოი ვით გვემტყუნეა  
სოფლისა ბრუნვა!..  
წაგვიხდა ზრუნვა.  
მბუღარე გულსა!  
ამად ვჰსტირთ წყლულსა  
არ დაფარულსა....

ვჰჰმუნავთ ბედ-მწირნი,  
გვხვევიან ჭირნი  
ფოთოლთ უხშირნი!..

დავიდნენ მთენნი,  
შარავანდთ მუენნი!  
აწ იგნი მზენნი  
ჰფარვიან ღრუბელს,  
ავღრის საგუბელს,  
მწყვდიადსა და ბნელს.

ვჰჰმუნავთ ბედ-მწირნი,  
გვხვევიან ჭირნი  
ფოთოლთ უხშირნი!..

შებრყვილოულს გულსა  
ცრემლით ვჰბანთ წყლულსა;  
ესრედ მორწყულსა  
მოჰსდის სამყოფი  
სევედის ნაყოფი  
გონების მყოფი..

ვჰჰმუნავთ ბედ-მწირნი,  
გვხვევიან ჭირნი  
ფოთოლთ უხშირნი!..

**II**

უწყლვივარ ჭირთა მალეას,  
ღუმილს, ოხერას და კრძალეას,  
სურვით შემშლიან თვალნი  
ვჰჰკვრეტ ოდეს მას ტან-ალეას.

ვიმ მანდ მშვენთა ხალთა!  
ვაი მათგან ნაკრძალთა!

ვეტრფი სატრფოთა თვალთა,  
ლაწვთ ვარდთა, ბაგე ლალთა;  
ვეღარ დაჰფარეს თავი  
განდიდებულთა ალთა.

ვიმ მანდ მშვენთა ხალთა!  
ვაი მათგან ნაკრძალთა!

საშუალ ორთა ღამეთ  
ჰბრწყინავს მზე გულთ საამეთ,  
მისთა სხივთ ისრებთაგან  
სულისა ხდასა ვლამეთ.

ვიმ მანდ მშვენთა ხალთა!  
ვაი მათგან ნაკრძალთა!

ბაღანშა ჰშვენის მყობა,  
მარგარიტო მიჯრით წყობა;

ვიცი, უცილოდ მომკლავს  
მათი იღუმალ ტროფობა.

ვიმ მანდ მშვენთა ხალთა!  
ვაი მათგან ნაკრძალთა!

ჰსწყურს გუელს მის მზისა ხლება,  
ვისგანც გონება ბნდება;  
ფფიცავ, თუ არ მცა წამალ,  
სამიწოდ სული მხვდება.

ვიმ მანდ მშვენთა ხალთა!  
ვაი მათგან ნაკრძალთა!

მ მ ი ს ა მ ბ ე ბ ი.

ამიერ კავკასიაში:

— 16, 17 და 18 აზრილს ცხენოსანი ჯარი გუ-  
რიის მხედრობისა ღენერალის ჭაგუჭავჭავის წინამძღოლობ-  
ბით გასულა მტერთა საქებულად უანი-გოისაკენ უარსის  
სამხრეთ ადგილებში. ერთი ნაწილი ამ ჯარისა ღინა-  
გიტამდე მისულა და ტელეგრაფები აზერეთმ და უარ-  
სის შუა ათს გერსტზედ მოუშლია და მეორე ნაწილი  
მისულა სოღანლუისის ასლო მყოფ სოფ. ვეკიშანამდე.

— 17 აზრილს გორბუხის სარდალი ღენერალ-  
ადიუტანტი ღორის-მელიქაჯი ზოგიერთის ქვეითის  
ჯარით, ცხენოსნით და არტილერიით ზაიმის ბანაკიდან  
დამხრულა, გადუგლია ხალივოლოლი და სოფელს ვარი-  
კელს მისულა.

— 18 აზრილს უანი-გოიდან დაბრუნებულს ცხე-  
ნოსანს ჯარს ზე ბატალიონი ოსმალოს ჯარი, ცისიდან  
გამოსულა, დასვედრია. ორი სხათი არტილერიის სროლა  
ქქონიათ.

— 19 აზრილს ჩვენი ცხენოსანი ჯარი დამდგარა  
ვიზინკევი და ქვეითი მობრუნებულა ზაიმის ბანაკს,  
ჩვენი ერთი მოძუკლანა, ხუთი დაჭრილა. ჩვენს ცხენო-  
სანს ჯარს ანი ოსმალოს ჯარის კაცი თოფ-იარაღით  
ხელში ტყვეთ დაჩხენიათ.

— 19 აზრილს ჩვენის ბანაკიდან, რომელიც არ-  
დაგანთან არის, უზბანის უზახუბის სამასი კაცი ზოლ-  
გონიგის მაკევის წინამძღოლობით, დამხრულა, იმავე  
დღეს გადუგლია დაუბრკოლებლივ ომერ-აღა და სადამო-  
ჯამს მისულა ზაიმს. 20-ს აზრილს ისევ უკანვე მობრუ-  
ნებულა

— ფოთიდან 22-ს აზრილს იწერებინა: ბათუმიდან,  
ფოთის სისწვრივ, ზღვის პირად გამოუვლია სამს საო-

მარს სომალდს ოსმალოსს და რამდენჯერმე ზარბაზნი-  
უსროლიათ.

— ნოვოროსისკიდან 21 აზრილს იწერებინა: ად-  
ლეტან მისული შვიდი სომარი სომალდი ოსმალოსი  
ისე წავიდნენ ისევ ზღვისკენ, რომ არაფერი მოუსდუ-  
ნიათ.

— ფოთიდან 22 აზრილს: ოსმალოს სომარი სო-  
მალდი მოადგა ფოთისა, სამი ზარბაზნი ესროლა, ყუბ-  
ბარებს ფოთამდე ვერ მიეღწია. ამ სომალდს შემოუერთ-  
დნენ სხვა ოთხი სომალდიცა და ერთი ტეტხლის გემი.  
უკანასკნელი ნიკოლაევსკიდან მოდენილა და გზა და გზა  
ზღვის პირებზედ მდგარს საყარაულოებისათვის სროლა  
აუტეხნია.

— ოზურგეთიდან 23 აზრილს. რიონის მხედრო-  
ბის ერთი ნაწილი ჯარი ისევ მუხა ესტატეს მთაზედ  
დგასო. გუშინ (22 აზრილს) თარქში გაუშეათ ზღვისა  
და ლეტვისკენ რომ ტყეებიდან მტერი განდევნონ. ჩუ-  
რუქ-სუს დაბას ოსმალოებმა თავი დაანებეს, მაგრამ  
ზღვიდან მას იფარავს შვიდი სომარი სომალდი. ჩვენი  
ჯარი მოსულა თუ არა ჩურუქ-სუს, ზღვიდან მაშინვე  
სროლა აუტეხნიათ. ლეგვის მალაბზედ ოსმალოებს  
სანგალი ქქონიათ, მაგრამ ჩვენებს სანგლიდან ოსმალინი  
გაუდევნიათ. თუმცა სამი კვირას რაც შეუწყვეტლად  
ქსწვიმსო, მაგრამ მაინც ჯარები ჯან-მტლიანად არია-  
ნო. გზები ძალიან ძნელი სავლელიაო.

— ფოთი 23 აზრილს. ოსმალოს სომარი სო-  
მალდნი, ფოთის პირ და პირ მდგარნი, დანიშლენ. ორი  
სომალდი და ერთი ტეტხლის გემი იქავ დაჩხა, სხვანი  
ნიკოლაევსკისკენ გაემართნენ. ნიკოლაევსკიდან ისმის  
ზარბაზნის სროლა. ინგლისის სომალდი წასულა ფო-  
თიდან და ფოთთან მდგარნი ოსმალოს სომალდნი უკან  
გამოქსდგომიან.

— გუმბრი 24 აზრილს. ავიდარი თავისას არ იშ-  
ლის. სმა გავარდაო, რომ ოსმალო სოღანლუსთან ჯარს  
ქქრებს ოარხერუმიდან და აქვე მოკლისო მთიულთა და  
კურდთა ცხენოსანს ჯარსაცაო.

— რიონის მხედრობიდან ამბავი მოვიდა, რომ  
14 აზრილს ოსმალოს სომარი სომალდნი, რიცხვით  
შვიდი, დაუდგრომელად მიმოვლინო ზღვის პირებზედ  
და გუშინ საღამოს ნიკოლაევსკისათვის სროლაც აუტეხ-  
ნიათ.

— გუმბრი 25 აზრილს. ერთი ნაწილი ცხენოსნის  
ჯარისა გავიდა მელიქ-უის, თოფაჯიუს და ჩახმაურს მტრის  
საქებულად. გერენალი დეველ 24 აზრილს თარქშით გა-  
სულა და მიღწეულა თვით არდაგანამდე. გენერალი ტერ-  
ლუქასოვი დიადინზესაკენ მიიწეკს.

— ოსურგეთი 25 აპრილს. რიონის მხედრობის ჯარი ჩურჩქ-სუს ახლო-მხლარ ფურცისათვის გასულს; ოსმალიანი ყოფილან კინტრიშის წყალ გაღმა და ჩვენის ჯარისათვის არა ფერი დაბრუნდება არ მიუციათ. წვიმები აღარ მოდის.

**საზოლიტიკო მიმოხილვა**

**აშხტიანი-მინბრია.**—ზოლიტიკის უმთავრესი ვითარება ამ უამადაც ისევე ამ საგანზედ ტრიალებს: ომი მარტო რუსეთისა და ოსმალითის შორის იწარმოებს, თუ სხვა სახელმწიფოსაც გადაელება. ერთი ავსტრიელი გაზეთი აი წას იწერება ავსტრიის შესახებ: „ჩვენ უნდა ვეცადოთ რომ ერთ ერთის მხარის დამარცხების შემდეგ მოხიგება ჩამოვარდეს, და იმ დრომდე ვი არავითარი მოსაწილეობა არ უნდა მივიღოთ. აი რა ზოლიტიკას უნდა დაადგეს ავსტრი-ვენგრიის მთავრობა. ჩვენთვის საჭიროა სულ გასწილნი ვიყვნეთ, რომ თავისუფლად მივუგებეთ იმ გარემოებას, რასაც მომავალი მოიტანს. ჩვენთვის საჭიროა ზიზველის შემთხვევითვე ვისარგებლოთ, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს მოხიგება, თორემ თუ ომი გაკმულა, მეტი ძნელია იქნება ჩვენთვის უამრად გადაჩნობა.

საკვირველი რამ არის ეს ავსტრიის საქმე. მისი სახელმწიფო ისეთ ნაირად არის შემდგარი, მის შინაურ განწყობილებაში სხვა და სხვა მიდრეკილებანი ისე განმარტებულნი არიან ერთი-ერთმანეთზე, რომ კაცი ადვილად ჯერ მისხდება თუ რა საქციელს უნდა დაადგეს ავსტრი-ვენგრიის იმპერიას, რომ ერთგვარად დააკმაყოფილოს სურვილი და გულის წაღილი თვისთა მრავალგვართა ქვეშევრდომთა. ავსტრიას ერთის მხრით ვენგრიის წინააღმდეგობისა ეშინიან, მეორეს მხრით სლავიანებისა. გარდა ამისა ვენგრია სლავიანებზედ არის გადაბრუნებული. ერთის სიტყვით ავსტრი-ვენგრია სამკანონოა არის შემდგარი, რომელთა შორის მარადი განსეთქილება და უთანხმოება სუფევს. ახლა მოხმანდით და ერთს რომელსამე ზოლიტიკას დაადექით და ეველანი ერთგვარად დააკმაყოფილოთ! ამის გამოისრობით, თუ მართლად ომი გაგრძელდა და მთელ ევროპას გადაეღვა, ძალიან ძნელი საქმე მოუვა ავსტრიას. შესაძლებელია, რომ იმას იგივე დღე დაადგეს როგორც ამ უამად ოსმალითს ადგია.

მას აქედ, რაც ავსტრიის იმპერია სუფევს მის მთავრობის მოღვაწეობას ერთი შედგომად მოსდევს: იმას ჭკობია რომ, რადგანაც სლავიანები და ნემენცები სხვა და

სხვა გვარ-ტომობის ხალხია, მათ შორის უსათუოდ განსეთქილება უნდა ჭსუფევედეს და ბუნებითვე ერთმანეთის მტრები უნდა იყვნენ. ამ აზრის მქონე მთავრობა, რასაკვირველია, უსათუოდ იმისთანა მოქმედებას დაადგობდა, როგორც ამ აზრს შეეფერება, ე. ი., კალდებულ ხდიდა თავის თავს სლავიანების გვარ-ტომობა მიზიანად ამოეგლიჯა და სლავიანები ნემენცებთ გადაეცვალა. ავსტრიამ დაიწყო სლავიანების დევნა და, რასაკვირველია, ის შეიძინა, რომ მათი გულისათადი სიძულვილი მოიპოვა. ავსტრიას სლავიანებს სულს უსუთავდა, ყოველგვარ თავისუფლებას სულიდგან ჭგლევდა და მეტი, როდესაც სლავიანები მაგარზედ დაუდგებოდნენ, ან გაჭირებაში გუღმოდგინებოთ არა შეეფოდნენ, იმასდა—სლავიანები იმიტომ შემტურებიან რომ მათში სლავიანური სისხლი ტრიალებსო. ის ვი არ იცოდა, რომ იმას ცოტად სული მოებრუნებინა სლავიანებისათვის, მატარა თავისუფლება მიენიჭებინა, ისინი მტრები ვი არა, არამედ გულ-წრფელი მეგობარნი იქმნებოდნენ. ამის გამოისრობით, ძნელი საქმე მოუვა მომავალში ავსტრი-ვენგრიას, თუ არ გამოიცვლის თავის შინაგან ზოლიტიკას და სლავიანებს იმ გვარად არ მოუწყობს თავისუფლებას, როგორც, მაგალითად ვესტქვით, შევიცარბის კანტონებს ანუ ამერიკის შტატებსა აქვთ მოწყობილი. ავსტრიის ნემენცები შედარებით ძალიან ცოტანი არიან და ისინიც გერმანიას შესცქერიან; ვენგრია სომ დიდი ხანია თავისუფლებას ეძებს და ვიდრე არ მოიპოვებს, თავისას არ დაიშლის. დარჩს სლავიანები, და თუ იმათაც სული არ შეუწყო ავსტრიამ, სომ გაქარწყლდება, როგორც შარშანდელი თოვლი.

— 11 აპრილს, ავსტრიის დეპუტატთა პალატში, ერთმა დეპუტატმა, გინკრამ და მისმა მომხრეებმა აი რა წარუდგინეს მთავრობას: „შეუძლიან თუ არა მთავრობას აგვისსნას რა გზას დაადგება თავის ზოლიტიკაში, რომელსაც რუსეთისა და ოსმალითის შორის ომი ასტუდება, და თუ შეუძლიან, მამ გვითხრას რა საგანი აქვს მთავრობას სასეში და რა ღონისძიების მოხმარება ჭსურს. ამ საგანზედ, რასაკვირველია, დიხს-საცნობი ბასი ვი-მართებოდა, მაგრამ ჯერ გაზეთები არ მოსულან და ამიტომ ჯერ ამაზედ ვერას მოგახსენებთ.

**ოსმალითი.**—ერთს რუსულს გაზეთს შემდეგი ცნობები მოჭყავს ოსმალითის ჯარის შესახებ: დუნაისკენ ოსმალითს 18,000 ჯარის კაცი ჭყავს დამზადებულიო. გარდა ამისა 5,000 კაცი ცისის არტილერიისა, რომელიც სხვა და სხვა ციხეებსა და სიმაგრეშია მოკრიგებულიო.

ზემოხსენებულ რიცხვთა შორის დობრუჯაში \*) არის 20,000-მდე კაცი; სიღისტრშიაში—20,000-მდე, რუშუკში 18,000-მდე, შუქლაში—14,000-მდე; ვარნაში და მის ახლო-მასლო 14,000-მდე; ვიდინში და მის გარშემო 55,000-მდე; სულ ერთიანად 140,000 მდე. დანარჩენი სსვა და სსვა ადგილებში არიან დაბანაკებულნი.

სულ ევროპაში რსმაღეთს შეუძლიან რამში გამოიყვანოს 263,000 კაცი.

აზიაში რსმაღეთს შეუძლიან გამოიყვანოს 130,000-მდე კაცი, (ყარში—18,000, ბათუმი—16,000, ერზრუმი—10,000, ბაიაზუმი—7,000 (?) სადანლუღში—6,000).

— სტამბოლიდან იწერებინ 14 აპრილს ერთს ნემენტურს გასეთში, რომ სონთქარს ვეკა ჰბუდავს ლაშქარში წასვლასა, რადგანაც ეშინიან სტამბოლში არეულობა არა მისდეს რა. ცალკე მიტყადის მომხრე კაცების ფიქრიცა აქვს, რადგანაც ესენი ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ თავისი გაიტანონ. სონთქარს წასვლაც უნდა და წასვლისაც ეშინიან და ამ რწყალშუადგომის მიზუნნი თვით სამხედრო მინისტრიც და სონთქარის სიძე არიან, რადგანაც ამათვის უსონთქაროთ სტამბოლში დაჩქინა სპიშარია. ერთის სიტყვით, აქედამა ჰხანს, რომ სტამბოლში არეულობა მოსალოდნელია.

— აი რა შეუთვლია სონთქარს თავის საღისისა და ლაშქრობისათვის: „რუსეთი, ეს მარადი მტერი ჩვენის თავისუფლებისა და ჩვენის ღირსებისა, შემოესია ჩვენს სამშობლოს წინააღმდეგ უფლებისა, სამართლისა და ტრაგატების პატივის ტემისა. თქვენ წინაპართა ანდერძი და წინასწარმეტყველის კანონი ვადღებულ გზით განდევნით მტერი და დაცვით თქვენი სამშობლოს დროშის პატივი. სამშობლო ჩვენი განსაცდელშია!—მაშასადამე ვალად ვარცხ ჩემს თავს ავიღო სულში საღიფის დროშა და გავიღო საომრად, და თუ საჭიროება მოითხოვს შევწირა ჩემი სიცოცხლე იმპერიის თავისუფლებასა ჩვენის ცოლ-შვილის პატივისა და სიცოცხლის დასაცვლად. დავანსოთ მთელ ქვეყანას ზომიერებისა და მოკალეობის აღსრულების მაგალითი. ყოველგან და ყოველ შემთხვევაში ყოველს მცხოვრებს ჩვენის ქვეყნისას, რა ტომისა და სარწმუნოებისაც უნდა იყოს, სიცოცხლე და საკუთრება სულმუხსებულად უნდა დარჩეს. ვაი იმ ჩვენს ქვეშევრდომს, რომელიც კი გადუდგება ამ ჩვენს ნებას!“

\*) დობრუჯა არის ერთი ხაწილი რსმაღეთისა, იქ სულა დუნია ზღვას ერთვის.

— რმის გამოცხადების შემდეგ რსმაღეთის გარეგან საქმეთა მინისტრმა, საფუტო-ფაშამ ყველა ევროპის სახელმწიფოებს გაუგზავნა ცირკულიარი, სადაც სსვათა შორის, მოხსენებულია, რომ რუსეთს სრულყოფით არა აქვს უფლება ღონდონის სიგელი მოიყვანოს საბუთათ და მით თავი გაიმართლოს. პირველი ესა რამ, ამ სიგელზედ ყველა სახელმწიფოებსა აქვს სელი მოწყვრილი და ამის გამოცხადებით ერთს რამეღსამე სახელმწიფოს ცალკე არა აქვს უფლება რსმაღეთის წინააღმდეგ იმოქმედოს. გარდა ამისა, სიგელის დამატებაში მოხსენებულია, რომ თუ ვინცდაცა რამეღ მივარდა საქმეო, ეს სიგელი უნდა გაუქმდესო. სსვენულის ცირკულიარის სიტყვით რუსეთს არავითარი უფლება არა აქვს რსმაღეთის ქრისტიანებს მივარკვლობა გაუწიოსო. რსმაღეთის მივარობა ჰსთხრავს უმთავრესს სახელმწიფოებს საერთოდ მიიღონ მონაწილეობა ამ საქმეში პატივის ტრაგატის ძალითაო. ამ გზით ევროპა დაცვაოსო უბედურებისგან იმავე ქრისტიანებს, რომელთა განთავისტოლებისათვის რუსეთმა სძალი ამოიღოვო. რსმაღეთის მივარობა ესლაც მზად არისო დაშალს თავისი ჯარი, თუ რსსაკვირველია იმავე დროს რუსეთიც დაშლის თავისსაო.

ესლა, როგორც მოგხსენებათ, ეს ცირკულიარი დაგვიანდა და ისტორიული მნიშვნელობა თუ ექმნება, თორემ სსვა კი არაფერი.

**წმრილი ამბავი.** ერთს ნემენტურს გასეთში ჰსწერია—ავსტრია არასდროს თანახმა არ ექმნება, რომ რუსის ჯარი სერბიაში შევიდესო, და თუ სერბია გიდეგ რმის აუტყეს რსმაღეთისა, მაშინ ავსტრიის ჯარი დაიჭრის სერბიასა და აგრეთვე ბოსნიასაცო. მაშ ავსტრიას გიდეგ გადუხვევია!

— 19 აპრილს (1 მაისს) შეიყარა საფრანგეთის პარლამენტი. დეპუტატთა პალატაში გარეგან საქმეთა მინისტრს ჰქრცოვ დეკანს სსვათა შორის უთქვამს შემდეგი: ჩვენი გარეგანი მდგომარეობა არასდროს არა ყოფილა ისე კარგი და მშვიდობიანი, როგორც ამ უამდ არისო. სსვა სახელმწიფონიც პირ და პირ არ ეტყვიან აღმოსავლეთის საქმეში.

ჩვენი პოლიტიკა—სრულიად ნეიტრალიტეტი \*) ექმნება.

— ჩვენოგორის დესპანნი, რომელიც შეჩვიების თაობაზედ იყვნენ გაგზავნილნი სტამბოლს, გამო-

\*) ნეიტრალიტეტი ნიშნავს იმ მდგომარეობას, როცა სახელმწიფო არც ერთს მეზობლს არ მიეძირება.

ვითარაჲს უნდა იყოს სანაწარმის მინისტრის საფუძვლად და გამოთხოვების დროს ეს უთხრეს: „ჩვენ იქნება ვერაფერად გაჩვენოთ როგორც დამლაშებელი, მაგრამ შეგვიძლიან დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ როგორც მეომარნი უკეთესად აღვასრულებთ ჩვენს მოვალეობას.“

— ათინადამ (საბუნების სატანტო ქალაქი) 24 აპრილს იწერებინ: მთავრობის ნებადაურთველად ბერძნის ერთი ქვეითი ზოლვი საზღვარს გადასულა და ოსმალო-სათვის ომი აუტყვნიათ. დიდი ღელვაა თურმე ხალხისა.

**რა მიზანია სარბიის დამარცხებისა?**

